1967/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 5 (316)

1967 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (316) მაისი 1967 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

327. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ვ. გოგოხიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

328. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

329. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

330. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. ჩიქოვანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

331. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. გ. ლეიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

332. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ზუგდიდის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.

### განყოფილება მეორე

333. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. დ. გ. კაპანაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

334. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ო. მაგომედოვასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

№ 5
ეროვნული ბიბლიოთეკა

335. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ წარმოებაში დანერგვისა და ჩაის პლანტაციებში კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

336. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

337. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

338. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. მეტრეველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

339. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ბარამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

340. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. სიამაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

341. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. გ. შანშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

342. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. ჭოველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

343. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ვაჩაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

344. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

345. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

346. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

347. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. ბერეჟიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

348. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ტყვარჩელის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**327** **ამხ. დ. ვ. გოგოხიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. დამიანე ვლადიმერის ძე გოგოხია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 13 მაისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**328** **ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. მამია ამბერკის ძე მეგრელიშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 13 მაისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**329** **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ**

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭება კულტურის სახლებისა და სასახლეების, კლუბების, პარკების, მუზეუმების, ხალხური შემოქმედების სახლების, მეთოდური კაბინეტების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინოთეატრების, კინოდანადგარების, კინოფილმების გაქირავების კანტორების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობების და პოლიგრაფიის მუშაკებს, საზოგადოება „ცოდნის" და სხვა ორგანიზაციების ლექტორებს, რომელთაც კულტურის დარგში იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 13 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 330 ამხ. მ. გ. ჩიქოვანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მიხეილ გერასიმეს ძე **ჩიქოვანი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 16 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 331 ამხ. რ. გ. ლეიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. რობერტ გიორგის ძე **ლეიაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 332 ქალაქ ზუგდიდის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს ქალაქი ზუგდიდი ზუგდიდის რაიონს და გარდაიქმნას საქართველოს სს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1967 წლის 16 მაისი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 333 პროფ. დ. გ. კაპანაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების ხელმძღვანელს პროფესორ დავით გიორგის ძე კაპანაძეს მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1967 წლის 10 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 334 ამხ. მ. ო. მაგომედოვასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

გამოყენებითი ხელოვნების დარგში მაღალმხატვრული ნამუშევრების შექმნისა და კადრების აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის მანაბე ომარის ასულ **მაგომედოვას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1967 წლის 11 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 335 ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ წარმოებაში დანერგვასა და ჩაის პლანტაციებში კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ წარმოებაში დანერგვასა და ჩაის პლანტაციებში კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ვლადიმერ რაჟდენის ძე **აბულაძე** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის სამჭედლო-თერმული უბნის უფროსი.
2. სერგო ალექსანდრეს ძე **აბზიანიძე** — ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა „რიონის“ დირექტორი.
3. ნიკოლოზ იოსების ძე **ამაღლობელი** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი.
4. ნიკოლოზ პეტრეს ძე **ანდრეევი** — მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.
5. გიორგი ბეჟანის ძე **ასათიანი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე.
6. სერგო პლატონის ძე **აფხაზავა** — ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.
7. გივი გიორგის ძე **ბერძენიშვილი** — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების გამგე.
8. გიორგი მიხეილის ძე **გორდეზიანი** — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი.
9. ამბროსი ივანეს ძე **გორდელაძე** — მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
10. ინდიკო ბახვას ძე **გულორდავა** — წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.
11. ანდრო დავითის ძე **დავითულიანი** — ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.
12. ალექსანდრე პანტელეიმონის ძე **ვაშალომიძე** — საქართველოს სახელმწიფო მანქანათა საგამოცდო სადგურის დირექტორის ყოფილი მოადგილე.
13. მიხეილ გიორგის ძე **კალატოზიშვილი** — საქართველოს სახელმწიფო მანქანათა საგამოცდო სადგურის დირექტორი.
14. ალექსანდრე ილიას ძე **კვარაცხელია** — წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.
15. ნოშრევან ფაუსტის ძე **კვარაცხელია** — საქართველოს სახელმწიფო მანქანათა საგამოცდო სადგურის ლაბორატორიის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. მამედ ფეზლის ძე **კონცელიძე** — მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი.

17. გივი ილარიონის ძე **კოპალიანი** — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების გამგის მოადგილე.

18. ნიკოლოზ არსენის ძე **კოსტავა** — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს პროექტის მთავარი კონსტრუქტორი.

19. ვლადიმერ ანტონის ძე **ლაკოია** — გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

20. ევგენი დიმიტრის ძე **ლებედევი** — ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

21. ლეონიდე ალექსანდრეს ძე **მელნიკოვი** — საქართველოს სახელმწიფო მანქანათა საგამოცდო სადგურის ყოფილი მუშაკი.

22. ნიკოლოზ ივანეს ძე **პარიკოჟა** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის ყოფილი ზეინკალი.

23. დავით გრიგოლის ძე **ჟორჟოლიანი** — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი.

24. ივანე ანდრიას ძე **ჟუჟუნაშვილი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი.

25. შუტუ ვლადიმერის ძე **სალუქვაძე** — მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი.

26. ვახტანგ ვასილის ძე **სანაძე** — მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.

27. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **ტყეშელაშვილი** — ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

28. ვასილ კირილეს ძე **ურუშაძე** — მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი.

29. ვლადიმერ ვასილის ძე **ყაზახაშვილი** — „საქსოფლტექნიკის“ სამმართველოს უფროსი.

30. აკაკი კონსტანტინეს ძე **შულაია** — ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი.

31. ილია ილიას ძე **შულაია** — ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.

32. გრიგოლ დუტუს ძე **ჩაჩიბაია** — გალის რაიონის აჩიგვარას ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

33. შალვა სიმონის ძე **ჩიგოგიძე** — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი.

34. ტერენტი პავლეს ძე **წულეისკირი** — „საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის რაიონული განყოფილების მმართველი.

35. ბორის გრიგოლის ძე **ჭანტურია** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის განყოფილების უფროსი.

36. ოლღა იროდიონის ასული **ხვედაგურიძე** — საქართველოს სახელმწიფო მანქანათა საგამოცდო სადგურის ყოფილი მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. გიორგი მუხრანის ძე **ხორავა** — ზუგდიდის რაიონის ინგირის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1967 წლის 7 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 336 ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით, მეცნიერული კადრების მომზადებასა და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაში დიდი დამსახურებისათვის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 10 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 337 ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით, მუზეუმში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. თამარ იასონის ასული **აბრამიშვილი** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
2. ანასტასია სიმონის ასული **ამბრიაშვილი** — მხატვარი-არქიტექტორი.
3. ტატიანა ტარასის ასული **ანჩაბაძე** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
4. ოლღა დიმიტრის ასული **ბედუკაძე-კიროვა** — რესტავრატორი.
5. ეკატერინე გიორგის ასული **გაბაშვილი** — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.
6. გიორგი სოლომონის ძე **გოგილაშვილი** — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გიორგი ზაქარიას ძე **მჭედლიშვილი** — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.

8. ვასილიდა იოსების ასული **პაპავა** — განყოფილების ხელმძღვანელი.

9. ნიკოლოზ ბიჭიას ძე **რეხვიაშვილი** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

10. დომენტი ლეონტის ძე **ქორიძე** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

11. კონსტანტინე კონსტანტინეს ძე **ჩოლოყაშვილი** — განყოფილების ხელმძღვანელი.

12. ალექსანდრე ივანეს ძე **ჯავახიშვილი** — განყოფილების ხელმძღვანელი.

13. ვახტანგ ვარლამის ძე **ჯაფარიძე** — მუზეუმის დირექტორის მოადგილე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1967 წლის 10 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 338 ამხ. ვ. ი. მეტრეველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეურნეო მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კ. მ. ამირაჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ვალერიან იოსების ძე მეტრეველი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1967 წლის 10 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 339 ამხ. ვ. ი. ბარამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახანძრო დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის უფროსის მოადგილე ვასილ ივანეს ძე **ბარამიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 340 ამხ. ა. ე. სიამაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ვაკიჯვრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ალექსი ერმალოს ძე **სიამაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 341 ამხ. დ. გ. შანშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თადარიგის გენერალ მაიორი დიმიტრი გრიგოლის ძე **შანშაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 342 ამხ. გ. ს. ჭოველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე გიორგი სოლომონის ძე ჭოველიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 343 ამხ. ბ. ა. ვაჩაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ამბროლაურის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშა“-ს რედაქტორი ბენედიქტე არქიპოს ძე ვაჩაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 20 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 344 მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 22 მაისი.

№ 5
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 345 მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. დავით ამბაკოს ძე **კამკამიძე** — მთავარი ბუღალტერი.
2. ალექსანდრე ზურაბის ძე **კიკნაძე** — პენსიონერი.
3. ბიქტორ მათეს ძე **კიკნაძე** — ოსტატი.
4. გიორგი ერმინეს ძე **ლომსაძე** — უფროსი ოსტატი.
5. ლუდოვიკ ნიკოლოზის ძე **ნამგალაძე** — დირექტორი.
6. კონსტანტინე ტრიფონის ძე **ნანიტაშვილი** — უფროსი ოსტატი.
7. ბაბილინა მიხეილის ასული **სახვაძე** — მუშა.
8. შალვა ბიქტორის ძე **ტყეშელაშვილი** — უფროსი ოსტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 22 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 346 თბილისში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდი.
2. სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი.
3. სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.
4. სსრ კავშირის დიდი თეატრის მევიოლინეთა ანსამბლი.
5. ე. ვახტანგოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი.
6. თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხიდა“.
7. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლის ოქტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 347 ამხ. დ. ი. ბერეჟიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიის კათედრის გამგე პროფესორი დარია ივანეს ასული **ბერეჟიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1967 წლის 26 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 348 ქალაქ ტყვარჩელის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ ტყვარჩელის დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, ქვანახშირის საბადოების ათვისებისა და ქალაქის განვითარების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. მიხეილ შახანის ძე **არგუნი** — ტყვარჩელის სატყეო მეურნეობის ყოფილი მუშაკი.

2. ოთარ ანტონის ძე **არუთიანიანი** — სამშენებლო სამმართველოს „ტყვარჩელშახტმშენის" უბნის უფროსი.

3. ოლღა ესტატეს ასული **არშბა** — ქ. ტყვარჩელის კვეზანის საავადმყოფოს უფროსი მედიცინის და.

4. ზალა ძოკეს ძე **არშბა** — ტყვარჩელის გეოლოგიური პარტიის ყოფილი გამყოლი.

5. გოჯოგია ხუსოს ძე **არშბა** — სახელმწიფო ბანკის ტყვარჩელის განყოფილების ყოფილი მუშაკი.

6. ვარლამ ბოდგოს ძე **არშბა** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" ყოფილი მუშა.

7. დავით ბორისის ძე **აშხაცავა** — უბნის სამთოტექნიკური ინსპექტორი.

8. ნიკოლოზ ძუკოს ძე **დელბა** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 3 შახტის უფროსის თანაშემწე.

9. ივანე გერასიმეს ძე **დელბა** — ტყვარჩელის სახელმწიფო თბოელექტროსადგურის ცვლის ოსტატი.

10. თევდორე გრიგოლის ძე **იარემკო** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 3 შახტის მუშა.

11. დიმიტრი ბათლომეს ძე **ივაკინი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 5 შახტის ინჟინერი.

12. აკაკი ვლადიმერის ძე **კაკაბაძე** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ განყოფილების ინჟინერ-მექანიკოსი.

13. ლეონტი შახანის ძე **კვარაცხელია** — საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

14. ალექსანდრე ხარლამპის ძე **კვეკვესკირი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 2 შახტის ზეინკალი.

15. რამინ გრიგოლის ძე **ქეცბაია** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 5 შახტის მთავარი ინჟინერი.

16. მაკბეტ სერაპიონის ძე **ლაბახუა** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის დირექტორი.

17. ბორის კონსტანტინეს ძე **ლაგვილავა** — კავშირგაბმულობის ტყვარჩელის საქალაქო კვანძის უფროსი.

18. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ლაკობა** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ ყოფილი ათისთავი.

19. ივერი ვარლამის ძე **ლეკვეიშვილი** — ტყვარჩელის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

20. ნიკოლოზ დანელის ძე **მისოჩენკო** — საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

21. ვლადიმერ ვლადიმერის ძე **მოკრინსკი** — გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პენსიონერი.

22. ანდრო ალექსის ძე **პაშკოვი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ საბაგირო გზის შემდუღებელი.

23. კონსტანტინე დიმიტრის ძე **რიბნიკოვი** — ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოების საამქროს უფროსი.

24. ვასილ ონოფრეს ძე **სტასიუკი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 6 შახტის კომბაინის მემანქანე.

25. დემიან ხარლამპის ძე **ტეპეტოვი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 2 შახტის მთავარი ინჟინრის თანაშემწე.

26. ხაზარათ კუნტის ძე **ცარგუში** — საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

27. ვახტანგ შალვას ძე **წერეთელი** — თბილისის კომპლექსური გეოლოგიური საძიებელი პარტიის უფროსი.

28. ამბროსი რაჟდენის ძე **ჭირაქაძე** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 4 შახტის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. ნიკოლოზ დიმიტრის ძე ხუნტუა — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ ტექმომარაგების ათისთავი.

30. შარბეი გრიგოლის ძე ჯინჯოლია — ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 26 მაისი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიაში

გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა, თუ როგორ შესრულდა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი 1967 წლის პირველ კვარტალში.

მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. გელაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით სახელმწიფო შემოსავლის გეგმა საანგარიშო პერიოდში 104,7 პროცენტით შესრულდა.

კარგი მაჩვენებლები აქვთ საქართველოს ჩაის, პურის და საკონდიტრო ნაწარმის ტრესტების, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს კოლექტივებს.

შემოსავლის გეგმები ვერ შეასრულეს საქართველოს თამბაქოს ტრესტის, სამტრესტის, მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების კოლექტივებმა.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში არ სრულდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის დავალებანი, დიდია არამწარმოებლური ხარჯები.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები დეპუტატები მ. ყულიევი, ი. გეგენავა, ლ. ისაკაძე, აფხაზეთის ფინანსთა მინისტრი დ. ჯიჯონაია, სამტრესტის საფინანსო განყოფილების გამგე ა. თაყაიშვილი, საქართველოს თამბაქოს ტრესტის მმართველის მოადგილე ნ. დვალი, „მონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. კიზივაძე, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე შ. ბეზარაშვილი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საფინანსო განყოფილების გამგე ა. იტრიევი, საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. დავითაშვილი, გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე გ. როსტოშვილი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ტრაპაიძე, რესპუბლიკის

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. კეშელავა.

ამ სხდომაზე დაამტკიცეს კომისიის მუშაობის გეგმა 1967 წლის მეორე ნახევრისათვის.

მოხსენებითი ბარათი აღნიშნულ საკითხზე დაეგზავნა რესპუბლიკის ყველა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ.